ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

ზამთრის სკოლა:

კრიტიკული აზროვნება სოციალურ მეცნიერებებში

ზოგადი აღწერა

2014 წელი

I. კრიტიკული აზროვნება: ზოგადი მიმოხილვა

კრიტიკული აზროვნება ინფორმაციის დაბალანსებულად, დამოუკიდებლად, რაციონალურად შეგროვების, შეფასების და ანალიზის უნარია. ის უზრუნველყოფს ისეთი დასკვნების გამოტანას, რომლებიც გამყარებულია არგუმენტებით და დაფუძნებულია ფაქტებზე. კრიტიკული აზროვნება დღევანდელ ინფორმაციულ რეალობაში უმნიშვნელოვანესი უნარია ყველა დისციპლინასა და პროფესიაში.

ზამთრის სკოლის ფარგლებში „კრიტიკული აზროვნების“ კურსი სტუდენტებს მიეწოდებათ, როგორც კრიტიკული აზროვნების უკეთ გაგების და მისი განვითარების შესაძლებლობა. აღნიშნულის მისაღწევად ჩვენ გამოვიყენებთ მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევებისა და თეორიული დილემების კონტექსტს, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენზე და რომლებზეც არ გვაქვს ცალსახა პასუხები. გლობალური საკითხების ადეკვატური გადაწყვეტის გზები განსჯის საგანია და ფაქტების, იდეების, აზრებისა და არგუმენტების გაცნობიერების და შეფასების შესაძლებლობას გვაძლევს. ლექტორები სტუდენტებს მიაწვდიან თითოეული გლობალური გამოწვევის ან თეორიული დილემის რელევანტურ ინფორმაციას.

ამავე დროს, ზამთრის სკოლისა ორგანიზება „კრიტიკულ აზროვნებაში“ წაახალისებს სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და სოციალური რეალობის რეფორმირებისკენ. პროექტი მათ დაანახებს საჭიროებას, გამოიყენონ მიღებული ცოდნა ცხოვრებაში, გახდნენ აქტიური მოქალაქეები და გადასცენ საკუთარი ცოდნა სხვა ადამიანებს.

კრიტიკული აზროვნება ერთ-ერთი ახალი მოდულია უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში. ეს მოდული კონცენტრირდება ადამიანების ინდივიდუალური და სოციალური მახასიათებლების განვითარებაზე. კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ადამიანის უნარს, ჩაერთოს რეფლექსურ და დამოუკიდებელ აზროვნებაში. ამ პროექტის მიზანი სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებაა, რაც გულისხმობს სკეპტიციზმის გამომუშავებას და საკითხის კრიტიკული შეფასებისა და მასზე რეფლექსიის სტიმულირებას.

კურსს გაუძღვებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტების ლექტორები, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გამოცდილება მოდულის შესაბამისი საკითხის/საკითხების შესახებ. სასწავლო პროცესში სულ 15 ლექტორი იქნება ჩართული.

II. აქტივობების დეტალური აღწერა

ზამთრის სკოლა გაიმართება 17–26 თებერვალს. 10 დღის განმავლობაში ჩატარდება ლექციები და გაიმართება დისკუსიები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თითოეულ დღეს წაიკითხება ექვსი ლექცია ორი ლექტორის მონაწილეობით და დღის ბოლოს გაიმართება დისკუსია, რომელსაც აღნიშნული ლექტორები გაუძღვებიან. საბოლოოდ, ლექტორები სტუდენტებს მისცემენ დავალებას (ტესტი, ესსე), რომლის შესასრულებლადაც მათ მიეცემათ სამი კვირის ვადა. დავალებებს პროექტში ჩართული ლექტორები შეაფასებენ.

სულ ზამთრის სკოლაში მოწვეულია 15 პედაგოგი, რომელთაგან ორი დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების წარმომადგენელია. ზამთრის სკოლის პედაგოგთა სია, თემატური ბლოკები, კონკრეტული სალექციო თემები მოცემულია დოკუმენტში „II. სალექციო თემები ზამთრის სკოლაში“.

ზამთრის სკოლის ფარგლებში მოხდება ლექციების ვიდეო/აუდიო ჩაწერა და მონტაჟი, გაკეთდება ჩაწერილი მასალის ტრანსკრიპტები, რომელთა რედაქტირებასაც თავად ლექტორები უზრუნველყოფენ და შეიქმნება სახელმძღვანელო ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის („კრიტიკული აზროვნება“). ამავე სახელმძღვანელოში შევა სტუდენტების ნაშრომებიდან ამორჩეული 5 საუკეთესო ესსე. დაიბეჭდება წიგნის ორასი ეგზემპლარი (დაახლოებით 250 გვერდიანი), რომელიც მიეწოდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალურ, ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და პროექტში ჩართული უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს.

ზამთრის სკოლის დასრულებისას სტუდენტები მიიღებენ სერთიფიკატებს (ესსეს და ტესტის საფუძველზე).

III. პროექტის სამიზნე ჯგუფი

ზამთრის სკოლაში მონაწილეობას 50 სტუდენტი მიიღებს, მათგან 30 იქნება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტებიდან, ხოლო 20 – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან.

პროექტის სამიზნე ჯგუფია სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის მესამე–მეოთხე კურსის სტუდენტები. მათი ძირითადი საბაკალავრო პროგრამა (Major) ან დამატებითი საბაკალავრო პროგრამა (Minor) უნდა ემთხვეოდეს ამ ჩამონათვალში მოცემულ სპეციალობებს:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი *(სპეციალობები: სოციოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, საერთაშორისო ურთიერთობები, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მუშაობა, ფსიქოლოგია და გენდერის კვლევა)*;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი *(სპეციალობები: საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია და ევროპისმცოდნეობა)*;
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი *(სპეციალობები: საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, სოციალური მეცნიერებები და პოლიტოლოგია)*;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი *(სპეციალობები: ჟურნალისტიკა და საჯარო მმართველობა)*;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი *(სპეციალობები: ჟურნალისტიკა, ფსიქოლოგია, საჯარო მმართველობა)*;
- სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი *(სპეციალობა: მასობრივი კომუნიკაცია და ჟურნალისტიკა)*.

IV. ფინანსური საკითხები

სტუდენტებისთვის ზამთრის სკოლა უფასოა. ანაზღაურდება ყველა სტუდენტის კვება და ტრანსპორტირება. ვინაიდან ზამთრის სკოლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება, რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების დაბინავება საოჯახო სასტუმროში მოხდება და ხარჯს ზამთრის სკოლის პროექტი დაფარავს.

კონტაქტი

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე:
tsuwinterschool@gmail.com